ხელშეკრულება № 13

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 10 ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორი ანა ლაზარეს ასულ კასრელიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ბიოლაბი (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ცოტნე ხატისაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიოლოგიური თვალსაჩინოებების ნაკრების შეძენა და სკოლის ლაბორატორიისთვის მიწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ {CPV 243000000}.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულებისსაგნისღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 136 ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2 დღეში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მისამართზე ბათუმის მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურს

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწ ილის შე უსრულებლობის შემთ ხვევაში შემს ყიდველი უფ ლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი შ.პ.ს "ბიოლაბი"	შემსყიდველი სსიპ ვახტანგ მუხრანელის სახ. მუხრანის სასწავლო სკოლა
მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქ. N8;	მისამართი: სოფ. მუხრანი
საიდენტიფიკაციო კოდი: **405 154 915;** საბანკო რეკვიზიტები: საბანკო კოდი: TBCBGE22	ტელეფონი: 577 12 36 56
ანგარიშსწორებისანგარიში **GE37TB7315836020100002**	საიდენტიფიკაციო კოდი: 235 444 319 ანგ/ს GE22LB0121117534196 9000
დირექტორი ----------	დირექტორი ----------

"ბიოლაბი" BIOLAB" LTD 405154915

ქ. ბაბილინა

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	პეტრის თასი - დაფენილი აგარით, სტერილური	4	12	48
2	სასაგნე მინა	4	2	8
3	საფარი მინა	4	1	4
4	საღებავი - გენციან (კრისტალ) ვიოლეტი	4	4	16
5	ეთანოლი - 96% - რექტიფიცირებული	1	0.99	0.99
6	ქაღალდის ხელსახოცი	1	0.01	0.01
7	იმერსიული ზეთი	1	6	6
8	სისხლი - ყოჩის ციტრატით, სტერილური	4	2	8
9	საღებავი გიმზა	4	2	8
10	პასტერის პიპეტი 3 მლ-იანი	1	2	2
11	ბაქტერიოლოგიური ერთჯერადი მარყუჟი	4	1.5	6
12	ლანცეტის პირი	1	2	2
13	სადენზიფექციო ხსნარი	1	2	2
14	გამოხდილი წყალი	1	0.5	0.5
15	ხელთათმანი	1	0.5	0.5
16	საღებავი- (ლუგოლი) იოდინი	4	2	8
17	საღებავი- (ფუქსინი) საფრანინი	4	2	8
18	ერთჯერადი ტამპონი, ბამბის, სტერილური	4	2	8
	ჯამი			136

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0273028288

2	14/11/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	02:53:42

დრო (საათი, წუთი)

4	შპს ბიოლაბი	405154915
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლა	235444319
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ჩაჩავას 8

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმული

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	პეტრის თასი - დაფენილი აგარით, სტერილური	1	ცალი	4.0000	12.0000	48.0000
2	სასაგნე მინა	2	ცალი	4.0000	2.0000	8.0000
3	საფარი მინა	3	ცალი	4.0000	1.0000	4.0000
4	საღებავი - გენციან (კრისტალ) ვიოლეტი	4	ცალი	4.0000	4.0000	16.0000
5	ეთანოლი - 96% - რექტიფიცირებული	5	ცალი	1.0000	0.9900	0.9900
6	ქაღალდის ხელსახოცი	6	ცალი	1.0000	0.0100	0.0100
7	იმერსიული ზეთი	7	ცალი	1.0000	6.0000	6.0000
8	სისხლი - ყოჩის ციტრატით, სტერილური	8	ცალი	4.0000	2.0000	8.0000
9	საღებავი გიმზა	9	ცალი	4.0000	2.0000	8.0000

13	136 - ას ოცდათექვსმეტი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

0273028288 სასაქონლო ზედნადების დანართი

	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
10	პასტერის პიპეტი 3 მლ-იანი	10	ცალი	1.0000	2.0000	2.0000
11	ბაქტერიოლოგიური ერთჯერადი მარყუჟი	11	ცალი	4.0000	1.5000	6.0000
12	ლანცეტის პირი	12	ცალი	1.0000	2.0000	2.0000
13	სადეზინფექციო ხსნარი 15 მლ	13	ცალი	1.0000	2.0000	2.0000
14	გამოხდილი წყალი 100 მლ	14	ცალი	1.0000	0.5000	0.5000
15	ხელთათმანი	15	ცალი	1.0000	0.5000	0.5000
16	საღებავი- (ლუგოლი) იოდინი	16	ცალი	4.0000	2.0000	8.0000
17	საღებავი- (ფუქსინი) საფრანინი	17	ცალი	4.0000	2.0000	8.0000
18	ერთჯერადი ტამპონი, ბამბის, სტერილური	18	ცალი	4.0000	2.0000	8.0000

13	136 - ას ოცდათექვსმეტი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19	